განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამა

ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

შეფასების თარიღი: 20 ოქტომბერი 2021 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი:07 დეკემბერი 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა, აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი / Master of Public Relations
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მარკეტინგი და რეკლამა-0414
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 27.11.2012; გადაწყვეტილება No719

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნატო ასათიანი,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ელენე ჯღარკავა,** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მიხეილ ბიჭია,** სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანი წამალაშვილი,** პოლიტიკის მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა მიზნად ისახავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიციური მენეჯერების აღზრდას, რომლებსაც შეუძლიათ მაღალმენეჯერულ პოზიციებზე მუშაობა და პროცესების დამოუკიდებლად მართვა. პროგრამა სტუდენტს აძლევს ცოდნას, როგორ უნდა დაგეგმოს შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო სტრატეგია როგორც სამთავრობო და არასამთავრობო, ისე კერძო სექტორისთვის. პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან კვალიფიციური კადრები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც სისტემური და თანამედროვე თეორიული ცოდნა, ისე მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. ეს ყოველივე ხელს უწყობს სტუდენტებს, მიიღონ თანამედროვე ცოდნა და გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამა შემოწმდა 2021 წლის 20 ოქტომბერს. კორონავირუსის გავრცელების მზარდი დინამიკიდან გამომდინარე, შეხვედრები ჩატარდა ონლაინპლატფორმის, კერძოდ, Zoom-ის გამოყენებით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, მოქმედ და ყოფილ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა, ასევე, ონლაინ, რა დროსაც ექსპერტებმა შეძლეს გარემოს დათვალიერება, ასევე, ბიბლიოთეკის საძიებო სისტემისა და პორტალის გაცნობა. შეფასება განხორციელდა პროფესიულ და თანამშრომლობით გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შემოწმებული პროგრამა კვალიფიციურადაა აგებული და შეესაბამება სტანდარტებს. პროგრამის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია განვითარებასა და დახვეწაზე ორიენტირებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც აღნიშნულ პროგრამას კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის.

- **რეკომენდაციები**

<u>2.3 კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით.

- მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი განახლდეს უახლესი ნაშრომებით.

<u>2.5. კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესატყვისი სახელწოდებით გამოყენება და შეფასების ინსტრუმენტთაგან მათი მკაფიოდ გამიჯვნა.

<u>2.6 კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების დახვეწა.

<u>4.2 კომპონენტი</u>

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა მეტი აქცენტები უნდა გააკეთოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაზრდაზე.

<u>5.1 კომპონენტი</u>

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა გამოიჩინოს, ასევე, გასაუმჯობესებელი მხარეების გამომსასწორებლად დაგეგმილი აქტივობები სათანადოდ დაგეგმოს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

<u>1.2 კომპონენტი</u>

- კარგი იქნება კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.

<u>2.1. კომპონენტი</u>

- თუ სპეციალობაში გამოცდა ზეპირია და არა წერილობითი, სასურველია, აისახოს პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტებში.

2.2. კომპონენტი

- კარგი იქნება, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერა, პრერეკვიზიტად მათთვის, ვინც სამაგისტრო ნაშრომის ფორმად კვლევით ვარიანტს ირჩევს;
- სასურველია, პროგრამაში გასწორდეს გარკვეული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. პრერეკვიზიტული საგნების კოდები დაზუსტდეს როგორც სილაბუსებში, ასევე კურიკულუმის რუკაში.

2.3 კომპონენტი

- კარგი იქნება, ადვილად მოძიებადი იყოს ლიტერატურა;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ნათლად ირკვეოდეს ჯერ კონკრეტული ასახსნელი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა;
- კარგი იქნება, სასწავლო საგნის „სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება“ ინგლისურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობის შესახებ აისახოს შესაბამის დოკუმენტებში და ამავე საგნის სილაბუსიც დაერთოს პროგრამას.

2.5 კომპონენტი

- სასურველია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ მეთოდებზე (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) ფოკუსირება.

2.6 კომპონენტი

- კარგი იქნება სტუდენტების ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდა ფინალური და შუალედური შეფასებების გასაჩივრების წესის მიმართ.

- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ სტუდენტთა ინსტრუქციის პრაქტიკაში გამოყენებას.

4.1 კომპონენტი

- კარგი იქნება სფეროს დოქტორთა მოზიდვა და რაოდენობის გაზრდა.

4.2 კომპონენტი

- კარგი იქნება პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ასევე, პერსონალის CV-ის საერთო ფორმის შემუშავება.

4.3 კომპონენტი

- სასურველია, ტექნიკურად გაიმართოს ელექტრონული საძიებო სისტემა და ხარვეზების აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები დაიგეგმოს;
- კარგი იქნება, დაიხვეწოს და სასწავლო მოთხოვნებს მოერგოს lmb.gipa.ge.

4.4 კომპონენტი

- კარგი იქნება, ბიუჯეტის დოკუმენტი დეტალურად და ნათლად ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს.

5.2 კომპონენტი

- სასურველია შეძლებისდაგვარად უცხოელი ექსპრტების ჩართულობა გარე ხარისხის შეფასების მიზნით.

5.3 კომპონენტი

- კარგი იქნება, უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი დახვეწოს, ასევე, შეიმუშავოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ექსტრაკურიკულური აქტივობების დაფინანსების პროგრამის შესახებ და წახალისებულია მათი ინიციატივები;
  - ინკლუზიის კოორდინატორის პოზიციის არსებობა.
  - უნივერსიტეტს აქვს უცხოელ ექსპერტთან თანამშრომლობის გამოცდილება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამის მიზნები **ნათლად არის ჩამოყალიბებული** და **ორიენტირებულია თანამედროვე ცოდნის მიღებასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე.** საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ვკითხულობთ, რომ პროგრამის მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მომზადება, რომელიც შეძლებს ორგანიზაციის ეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობების უზრუნველყოფას, შედეგზე ორიენტირებული მართვის, საკომუნიკაციო სტრატეგიის, ტაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს რომ პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრით, ისე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით, რაც იმას ნიშნავს, რომ **მიზანი გაზიარებული და ცხადია პროგრამაში ჩართული ყველა სუბიექტისთვის.** საგანმანათლებლო პროგრამის, სილაბუსების, თვითშეფასების და სხვა დოკუმენტების გაცნობის შედეგად ცხადი გახდა, რომ **პროგრამა სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას აძლევს სტუდენტებს** საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და მენეჯმენტის სფეროში (იგივე დადასტურდა ინტერვიუების შედეგად). პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას როგორ უნდა იმოქმედონ კრიზისულ სიტუაციაში, როგორ გამოიყენონ ვიზუალური თხრობის ტექნიკები და როგორ დაგეგმონ შედეგზე ორიენტირებული საკომუნიკაციო სტრატეგია. მთლიანობაში, პროგრამა კარგ საშუალებას იძლევა **ახალგაზრდები კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ,** რომლებიც გამორჩეულნი იქნებიან ეთიკური გადაწყვეტილებებით და ღირსეული მოქალაქეობრივი პოზიციით. ამასთან, დარგის სწავლების თვასაზრისით, ახლებურ მიდგომას წარმოადგენს (რაც პროგრამის ძლიერ მხარედ შეგვიძლია შევაფასოთ) ის მიდგომა, როგორც დღესდღეობით პროგრამაშია საგნები გადანაწილებული. კერძოდ, პროგრამა გადავიდა მოდულურ სწავლებაზე, რაც კარგად პასუხობს სტუდენტების საჭიროებებს და კარგ საშუალებას იძლევა იმ პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის, რაც თითოეულ ახალგაზრდას სჭირდება შრომის ბაზარზე წარმატებით დასაქმებისთვის. საბოლოო ჯამში, ამგვარი მიდგომით სტუდენტები კარგად იაზრებს დარგის სპეციფიკას, სფეროში საერთაშორისო კონტექსტს, ციფრული ტექნოლოგიების და სოციალური მედიის გამოყენების

შესაძლებლობებს და ამავდროულად, უმუშავდება გუნდური მუშაობის, ანალიტიკური აზროვნების, პრეზენტაბელურობის, შემოქმედებითობის, დეტალებზე ორიენტირების და სხვა მნიშვნელოვანი უნარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის წესდება; ○ სილაბუსები; ○ ვიზიტის დროს გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პოტენციურ დამსამქებელბთან; ○ უნივერსიტეტის სტრუქტურა; ○ ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; ○ შრომის ბაზრის ანალიზი.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის X
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ *პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;* ➢ *პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;* ➢ *შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.*

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის **შედეგები რეალისტური და გაზომვადია** და ნათლად გვიჩვენებს, თუ რას ემსახურება პროგრამა. პროგრამა, სწავლის შედეგების გააზრების საფუძველზე, ცალსახად უწყობს ხელს კონკურენტუნარიანი კადრის გაზრდას, რომელიც დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით იქნება აღჭურვილი. კერძოდ, პროგრამა სტუდენტს აძლევს დარგობრივ ცოდნას სფეროსთვის დამახასიათებელ თანამედროვე მიდგომებზე, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე. აძლევს საშუალებას სიღრმისეულად შეისწავლოს **კორპორაციული კომუნიკაციის, მედიასთან ურთიერთობის, კონტენტ მარკეტინგის, ციფრული კომუნიკაციების** მახასიათებლები და სხვა შესაბამის სფეროში არსებული თანამედროვე მიდგომები. კურსდამთავრებული იყენებს სისტემურ ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობის **მართვის მოდელების** შესახებ და შეუძლია კრიტიკულად გაიაზროს და გაანალიზოს სხვადასხვა გარემოს შესაბამისად კონკრეტული მართვის მოდელი. ამასთან, მაგისტრს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს ორგანიზაციის **ხედვა, სტრატეგია და ააგოს სტრატეგიული კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა.**

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ვიზუალური თხრობის ტექნიკების სიღრმისეული გააზრება, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულს შეუძლია **დამოუკიდებლად განავითროს იდეა, ააწყოს ლოგიკური სტრუქტრა** და სხვადასხვა ფორმატის კონტენტი. ამასთან, შეუძლია გამოიყენოს **პროექტის მართვის მეთოდიკა და ინსტრუმენტები,** განსაზღვროს პროექტის მიზნები და მათი წარმატებით შესრულებისთვის განახორციელოს ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების მენეჯმენტი.

პროგრამის სწავლის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს **კვლევის დამოუკიდებლად წარმოება,** რომლის თანახმადაც მაგისტრი ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, ამუშავებს, აანალიზებს და აფასებს მას, განმარტავს შედეგებს, აკეთებს დასკვნებს, საჭიროებისამებრ განაზოგადებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სწავლის აღნიშნულ შედეგთან კავშირში გაანალიზდა მოწოდებული სამაგისტრო ნაშრომები, რის საფუძველზეც, გამოიკვეთა **კვლევითი კომპონენტის სწავლების გაძლიერების შესაძლებლობა,** რათა აღნიშნულ შედეგზე კურსდამთავრებული უფრო ეფექტიანად გავიდეს.
დაბოლოს, მაგისტრს პროგრამა აძლევს საშუალებას განივითაროს ისეთი უნარები, რაც ცოდნის დამოუკიდებლად მიღებისა და მომავალი სწავლის პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სილაბუსები

○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ვინტერვიუს შედეგები; ○ პოტენციურ დამსაქმებლებთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება კვლევითი კომპონენტის გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურა **შესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მომწესრიგებელ წესში, საჯაროა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული **აკადემიური ხარისხი** ნებისმიერ სფეროში; 2) საერთო სამაგისტრო **გამოცდის წარმატებით ჩაბარება;** 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: ✓ ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის **პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;** ✓ **გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში** (B2 დონე), გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ კვალიკიფაციის დამადასტურებელ სერტიფიკატს (TOEFL ILETS); ✓ **გამოცდა სპეციალობაში,** რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თუმცა ამჟამად მხოლოდ ინგლისური ენის ტესტის ნიმუშია ხელმისაწვდომი და **სპეციალობის საგამოცდო საკითხები არ იძებნება.** ამასთან, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ აპლიკანტებს უტარდებათ ზეპირი გასაუბრება, რაც მხოლოდ ვებგვერდზეა დაფიქსირებული და **არ იკითხება პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტებში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gipa.ge/ ;
- ვიზიტის დროს გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

X

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თუ სპეციალობაში გამოცდა ზეპირია და არა წერილობითი, სასურველია, აისახოს პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

X

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის წესში. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, პარტნიორებთან კონსულტაციები, დარგის სპეციფიკა და საუკეთესო ადგილობრივი პრაქტიკა. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო **პროგრამა მოცულობით, შინაარსითა და კომპლექსურობით შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს**. პროგრამა თანმიმდევრულია, ლოგიკურია და ორგანიზებულია შემდეგნაირად:

პროგრამა შედგენილია კრედიტების დაანგარიშების ევროპული სისტემით (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე 30 დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). პროგრამა დაფუძნებულია არჩევითობის პრინციპზე, რაც გულისხმობს შემდეგს: მაგისტრანტს სასწავლო პროგრამის ფარგლებში გარდა სავალდებულო სასწავლო კურსებისა შეუძლია გააკეთოს არჩევანი – არჩევითი სასწავლო კურსებიდან. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმში შემავალი ყველა საგანი **გაჯერებულია პრაქტიკული ელემენტებით.** პროგრამის შინაარსის განახლებისას გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომები, კრეატიული ინდუსტრიის მოთხოვნები, დასაქმების ბაზრის სწრაფი ზრდა და განვითარების მაჩვენებლები, რასაც ადასტურებს დამსაქმებლებთან შეხვედრები და შრომის ბაზრის კვლევები. პროგრამის შემუშავებისას ნამდვილად ჩატარებულია ადგილობრივი უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამების სიღრმისეული ანალიზი თუმცა **არ არის განხილული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები,** რაც შესაძლოა, კარგი საშუალება იყოს პროგრამის კიდევ უფრო მეტად სრულყოფისთვის. პროგრამის სტრუქტურას გამორჩეულს ხდის **შემაჯამებელი მოდულების არსებობა,** რომელიც რეაკრედიტაციის ფარგლებში დაინერგა, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად; შემაჯამებელი მოდულებით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიმდინარე სემესტრში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით იმუშაონ ერთ კონკრეტულ პროექტზე და პრაქტიკულად განახორციელონ მიღებული თეორიული ცოდნა. პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის ორ მიმართულებას შორის არჩევას: კვლევითი ნაშრომი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში; ან ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა. ბოლო 5 წლის სამაგისტრო ნაშრომების ანალიზის შედეგად, სტუდენტების უმრავლესობა სამაგისტრო ნაშრომის კვლევით მიმართულებას ირჩევდა; შესაბამისად, ნაშრომების გადახედვით და ასევე სასწავლო კურსების ანალიზის შედეგად ვთვლით, რომ **სტედუნტების წერის უნარების გასაუმჯობესებლად კარგი იქნება აკადემიური წერის კურსის შემოღება პროგრამაში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანთლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი; • ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ხელშეკრულება; • უნივერსიტეტის ვებგვერდი - www.gipa.ge ; • პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: X

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატოს აკადემიური წერა, პრერეკვიზიტად მათთვის, ვინც სამაგისტრო ნაშრომის ფორმად კვლევით ვარიანტს ირჩევს.
- სასურველია, გასწორდეს გარკვეული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. პრერეკვიზიტული საგნების კოდები დაზუსტდეს როგორც სილაბუსებში, ასევე კურიკულუმის რუკაში. მაგალითად: **PR 712 კ**ურსის (პირველი სემესტრის საგანი) პრერეკვიზიტი არის **PR703,** რომელიც მესამე სემესტრის საგანია; **PR713** კურსის ერთ-ერთ პრერეკვიზტად მითითებული არის **MGT 704**.

საუკეთესო პრაქტიკა:

უნივერსიტეტს აქვს უცხოელ ექსპერთან თანამშრომლობის გამოცდილება. 2013 წელს, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, თანამშრომლობის ფარგლებში იმყოფებოდა პროფესორი ტომას კლიპსტაინი (25 წლის განმავლობაში General Motors-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის 32 სილაბუსში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კურსის მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც, თავის მხრივ, კავშირშია პროგრამით გათალისწინებულ სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭება და სწავლის შედეგების განსაზღვრა გამომდინარეობს შესაბამისი კურსის შინაარსიდან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების (კრედიტების საათების განსაზღვრის) გათვალისწინებით და ყველა დაინტერებული მხარის ჩართულობით. თითოეული სასწავლო კურსისთვის

გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში მოსამზადებელი დავალებების მოცულობასა და სირთულეს, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის მოცულობას და სხვა. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად განსაზღვრულ მაგისტრატურის საფეხურის კვალიფკაციათა აღმწერს. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები. აღსანიშნავია, რომ ყველა საგანი შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს.

სავალდებულო სასწავლო კურსები აძლევენ სტუდენტს ფუნდამენტურ განათლებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რასაც იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მართვაში, სხვადასხვა სახის პროექტების შექმნაში და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების ინდუსტრიის შესაბამისი სფეროების საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილების, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებასა და დაკმაყოფილებაზე.

სასწავალო კურსების სილაბუსებში მითითებული არის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, თუმცა ხშირად ეს მასალები წარმოადგენს ლექტორის მიერ შემუშავებულ კონსპექტებს და არ არის დაკონკრეტებული წყაროები. ასევე არის გარკვეული უზუსტობები ძირითადი ლიტერატურის მითითებისას; კერძოდ, *კომუნიკაციის ფსიქოლოგიის* ძირითად ლიტერატურაში მითითებული არის ზიმბარდოს „სოციალური ფსიქოლოგია“ თუმცა ქართულ ენაზე ამ ავტორის მხოლოდ „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ არის თარგმნილი. ამასთან, სილაბუსებში ჩანს ნაშრომთა გაზრდის საჭიროება როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში, მით უფრო, მაგისტრატურის საფეხურზე. **მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთა ნურთიერთობის სფეროში** სასწავლო კურსის ჩამოთვლილი ლიტერატურის ძირითად ნაწილს არ აქვს მითითებული გამოცემის წელი, რის გამოც ვერ მოხდა ლიტერატურს რელევანტურობისა და თანამედროვეობის განსაზღვრა. რამდენიმე **სასწავლო კურსის სილაბუსში („კონტენტ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია“, „პროექტის მენეჯმენტი“)** სავალდებულო ლიტერატურას არ უწერია შესაბამისი გვერდები, არადა მათი მითითება სასწავლო პროცესს უფრო მეტად სტუდენტზე ორიენტირებულს გახდიდა. ჩანს, რამდენიმე საგნის **სილაბუსში უახლესი ლიტერატურის ინტეგრირების** საჭიროება. მაგალითად, მიზანშეწონილია, სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს სასწავლო კურსის **„კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“** სილაბუსში დაემატოს შემდეგი ნაშრომები: ჩ. ფრანკფორტ-ნაჩმიასი და დ. ნაჩმიასი, კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში, თბ., 2009; ლ. წულაძე, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020 წ. ამასთან, სასწავლო **კურსის „გარემოსდაცვითი საკითხები, მდგარადი განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობა“ სილაბუსით სავალდებულო ლიტერატურას** დაემატოს კ. ყალიჩავას ავტორობით 2016 და 2018 წლებში გამოცემული ნაშრომები, რომლებიც ეხება გარემოსდაცვის საკითხებს. ასევე, კარგი იქნება, ამ საგნის სილაბუსის შინაარსი მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სანებართვო რეგულაციები, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, გარემოსდაცვითი ძირითადი უფლების შინაარსი, უვნებელ გარემოში ცხოვრების თავისებურებები, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ინსტრუმენტი და სხვა.

ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ლექტორებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამით გათვალისიწნებული ერთ-ერთი სასწავლო კურსი მიმდინარე ეტაპზე იკითხება სრულად ინგლისურ ენაზე, რაც არ არის აღნიშნული არც პროგრამაში და არც სხვა

რელევანტურ დოკუმენტში. პირიქით, რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა სრულად ქართულ ენაზე გულისხმობს სწავლებას და დოკუმენტაციიდან არ ჩანს, რომ ერთ-ერთ საგანში შესაძლოა, ლექციები ინგლისურ ენაზე იყოს წაკითხული
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები. • თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. • პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით; • მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი განახლდეს უახლესი ნაშრომებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება, ადვილად მოძიებადი იყოს ლიტერატურა (მითითებული იყოს ავტორის სახელი და გვარი, ნაშრომის სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის ნომერი და წელი). • სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ნათლად ირკვეოდეს ჯერ კონკრეტული ასახსნელი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა. • კარგი იქნება, სასწავლო საგნის „სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება“ ინგლისურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობის შესახებ აისახოს შესაბამის დოკუმენტებში და ამავე საგნის სილაბუსიც დაერთოს პროგრამას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურსები დატვირთულია პრაქტიკული კომპონენტებით და ამასთან, მოდულური მიდგომით აქცენტი სწორედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე კეთდება, რაც პროგრამის უპირატესობას ნათლად გვიჩვენებს.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დადებულია არაერთი მემორანდუმი, რომელიც უწყობს ხელს სტუდენტებს გამოიმუშაონ შრომის ბაზრის შესაბამისი უნარები და ჩვევები. ამრიგად, კურიკულუმი ითვალისწინებს თეორიისა და პრაქტიკის სინთეზს და აქედან გამომდინარე, მასში მრავლად არის ინტეგრირებული პრაქტიკული სამუშაოები, რაც კურსდამთავრებულებს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ ვითარებაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. ასეთი საგნებია: „კორპორაციული კომუნიკაციები“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა მოქმედებაში“, „მართვა შედეგებისთვის“, „ღონისძიების მართვა“, „კონტენტ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია“, „მარკეტინგი“, „სტრატეგიული ბრენდინგი“, „პროექტის მართვა.“

სილაბუსების შესწავლითა და ინტერვიუების შედეგებით დადგინდა, რომ თვითშეფასებაში მართებულადაა აღნიშნული, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების ფარგლებში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ რეალური პროექტი და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, ჰქონდეთ ურთიერთობა პარტნიორ ორგანიზაციებთან და მათი მოთხოვნების/ამოცანების გათვალისწინებით შექმნან, დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა სახის პროექტი/ღონისძიება/საკომუნიკაციო სტრატეგია. ეს კურსებია: მარკეტინგი, კორპორაციული კომუნიკაციები, სტრატეგიული ბრენდინგი, კონტენ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია, კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი, ღონისძიების მართვა, ვიზუალურ თხრობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა მოქმედებაში, ფონდების მოძიება, პროექტის მართვა.

ამასთან, სტუდენტებს სკოლა აძლევს კვლევითი უნარების განვითარების შესაძლებლობასაც, რაც დადასტურდა ინტერვიუებით, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ სტუდენტების კვლევით პროექტების დაფინასნებისთვის ყოველწლიურად გამოიყოფა კონკრეტული თანხა, რაც სწორედ სტუდენტების კვლევით ინტერესსა და ამ მიმართულებით უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ მემორანდუმები; ○ სტუდენტების სამეცნიერო და სოციალური აქტივობები; ○ დამსაქმებლებლსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის X
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების მეთოდები გარკვეულ სილაბუსებში ინდივიდუალურადაა შერჩეული, შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში, რაც მისასალმებელია, რადგან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან, თუმცა რიგ სილაბუსებში, სწავლის მეთოდები საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. კერძოდ,

საგნის „სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება“ სწავლება-სწავლის მეთოდად მითითებულია „საკლასო განხილვები“ და „მოწვეული ლექტორები“. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, „საკლასო განხილვებში“ მოიაზრება საკითხის/შემთხვევის ანალიზი, ხოლო „მოწვეული სტუმრებში“ - მოწვეული სპეციალისტების მიერ საჯარო ლექციის ჩატარება, ასევე, დისკუსია-დებატები. ამასთან, „მოწვეული სტუმრები“ შეუძლებელია სწავლება-სწავლის მეთოდად განიხილებოდეს. ანალოგიური საკითხი გვხვდება საგნის „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში“ სილაბუსში. აქ სწავლების მეთოდებად ცალ-ცალკე მითითებულია „დისკუსია“, „დისკუსია მოწვეული სტუმრის მონაწილეობით“, „საკლასო დისკუსია“, არადა მოცემულ შემთხვევაში საქმე, ჩვეულებრივ, ეხება დისკუსიის მეთოდს და ბუნდოვანია მისი რამდენიმეჯერ გამოყენება. ასევე, სასწავლო კურსის „კორპორაციული კომუნიკაციები“ სწავლების მეთოდად გამოყენებულია „ქეისის განხილვა, დამუშავება და წარდგენა.“ ეს ყველაფერი იგივეა, რაც „კაზუსის ამოხსნა“ ან „შემთხვევის ანალიზი“. აგრეთვე, ზოგიერთ საგანში („კონტენტ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია“, „ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობებში“ და სხვა) იგრძნობა სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდის გამიჯვნის საჭიროება. „კონტენტ მარკეტინგი და სიფრული კომუნიკაციის“ სილაბუსით „საშინაო დავალების მომზადება“ წერია სწავლების მეთოდთთა ჩამონათვალში, არადა ის შეფასების ხერხია. სასწავლო კურსის „ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობებში“ სილაბუსში სწავლების მეთოდად დასახელებულია „წერილობითი ტესტი“, „რეფერატის დამუშავება“, არადა ისინი შეფასების ინსტრუმენტებია. შესაბამისად, იკვეთება სწავლება-სწავლის მეთოდთათვის შესაბამისი სახელწოდების დაზუსტების საჭიროება.

მნიშვნელოვანია რამდენიმე სასწავლო კურსში **ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება.** მაგალითად, საგნის „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდებად დასახელებულია ლექცია, ახსნა-განმარტება, ინტერაქტივი, ქეისის ანალიზი, როლური თამაშები; სასწავლო კურსის „ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობაში“ სწავლება-სწავლის მეთოდებად განსაზღვრულია ლექცია, ზეპირი გამოკითხვა, საშინაო დავალება, წერითი ტესტი, რეფერატის დამუშავება, პრეზენტაცია. დაახლოებით იგივე სურათია სასწავლო დისციპლინის „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვა“ სილაბუსში. ამავე დროს, „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“ სწავლება-სწავლის მეთოდებია: ლექცია/სემინარი, პრაქტიკული სავარჯიშოები, დავალებებისა და პრაქტიკული ნიმუშების განხილვა, პრეზენტაცია. დგინდება, რომ უფრო მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი იმ მეთოდებზე, რომლებიც ანალიტიკური უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს, მით უფრო, მაგისტრატურის საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესატყვისი სახელწოდებით გამოყენება და შეფასების ინსტრუმენტთაგან მათი მკაფიოდ გამიჯვნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ მეთოდებზე (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) ფოკუსირება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და ექვემდებარება პროგრამის მიერ დადგენილ წესს. საზოგადოებრივი ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების

წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად, რომელსაც საფუძვლად უდევს ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპები.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე სასწავლო კურსის კრედიტზე. სასწავლო კურსებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

შედეგების შეფასებისთვის თითოეულ სასწავლო კურსში აკადემიური პერსონალის მიერ ხდება არა მარტო რაოდენობრივი, არამედ განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფაც

სტუდენტებისთვის და მათთან ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველყოფა. სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილია რამდენიმეკომპონენტიანი შეფასება. მაგალითად, კურსისთვის „სტუდენტების შეფასება კურსის "ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობაში" ფარგლებში შემდეგნაირად ხდება:
სიტუაციური დისკუსია 10%;
საშინაო დავალება 20%;
ქეისის გარჩევა 10%;
შუალედური გამოცდა 25%;
დასკვნითი გამოცდა 35%.

ფინალური შეფასებებისთვის გამოცდების ჩატარება ხდება დეცენტრალიზებულად აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ კურსების შესაბამისად. ასევე პროგრამა მათ შესაძლებლობას აძლევს თავად განსაზღვრონ შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20%-იდან 50%-ის ფარგლებში. შეფასებების ატვირთვა ხდება უნივერსიტეტის საერთო სისტემაში lmb.gipa.ge. სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს, გაასაჩივროს შეფასება შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით.

საჩივრის განხილვის მიზნით სკოლის დეკანი განსაზღვრავს იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია, 2 კვირის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს სტუდენტის ნაშრომი ან, ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა. სხვა დამოუკიდებელ ექსპერტს ან ლექტორს უფლება აქვს, უცვლელად დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი ან დაბალი ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტის ნაშრომი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. თუმცა მხედველობაში მისაღებია, რომ არც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აღნიშნული წესის პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევა არ აღუნიშნავთ.

საზოგადოებასთან ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტი ვალდებულია დაწეროს სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი ან ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). მას აფასებს რეცენზენტი და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად: რეცენზენტის შეფასება- 50%, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შეფასება - 50%, აქედან კი გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული, თუმცა 50+50:2 არ შეადგენს მაქსიმუმ 100-ს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში

არ გამოდის საშუალო არითმეტიკული მაქსიმუმ 100 ქულა. დაზუსტებისას აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომს მაქსიმუმ 100 ქულით აფასებს რეცენზენტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ფასდება კომისიის მიერ 100 ქულით, აქედან კი გამოიანგარიშება საშუალო არითმეტიკული. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის „სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში“ გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები. ხვედრითი წონები გადანაწილებულია შემდეგნაირად: რეცენზენტის შეფასება - 50%, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შეფასება - 50%.“ თუ სამაგისტრო ნაშრომს აფასებს რეცენზენტი მაქსიმუმ 50 ქულით, რის შემდეგაც კომისია ნაშრომის დაცვაზე წერს მაქსიმუმ 50-ს და ეს ჯამდება, მაშინ ნაშრომის ერთჯერადად და დასკვნითი შეფასების დაწერის პრინციპი სათანადოდ არაა დაცული.

ამასთან, შეფასების ქულების განმარტებები, კრიტერიუმები ურთიერთგადამფარავია. მაგალითად, ლიტერატურის გასწვრივ არის „კრიტიკული ანალიზი“, არგუმენტაციაში - „კრიტიკული აზროვნების უნარი“, ინფორმაციის პრეზენტაციაში - „აზრის/ინფორმაციის გადმოცემა“, ზეპირი პრეზენტაცია - „ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემის უნარი“. ჩანს შეფასების კრიტერიუმების გამიჯვნის საჭიროება. ამ გაგებით, მიზანშეწონილია, აქცენტები გაკეთდეს შემდეგ კომპონენტებზე: კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები, მეთოდოლოგია, რელევანტური წყაროები და მათი ანალიზი, საკუთარი მოსაზრების ინტეგრირება ნაშრომში და სათანადოდ არგუმენტაცია, კვლევის შედეგები, პრეზენტაცია (ვიზუალური მხარე) და დასმულ კითხვებზე პასუხების ადეკვატურობა.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისი ან მომიჯნავე სამეცნიერო დარგის არანაკლებ 5 წარმომადგენლისგან. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიურიხარისხის მქონე სხვა პირი. კომისიაში ასევე მონაწილეობს მაგისტრანტის ხელმძღვანელი (ხმის უფლების გარეშე).

აქვე საყურადღებოა, რომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების თანახმად, არსებობს უარყოფითი შეფასების ორი სახე:
ა. „ვერ ჩააბარა“, რომელიც მოიცავს 41-დან 50%-ს (FX);
ბ. „ჩაიჭრა“, რომელიც გულისხმობს მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღებას (F).

სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი ითვალისწინებს უარყოფითი შეფასების ამ ორ სახეს, თუმცა შემდეგ გვხვდება მითითება იმაზე, რომ „უარყოფითი შეფასების დროს მაგისტრანტს ეძლევა ახალ სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლება მომდევნო სემესტრში“ (მე-9 პუნქტი). უარყოფითი შეფასების გვერდით ფრჩხილებში მაინც უნდა დაზუსტდეს, რომ აქ მოიაზრება უარყოფითი შეფასების მეორე სახე - F-ი.

ამასთან, უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ეთიკისა და ქცევის კოდექსი, სადაც აქცენტია პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის საკითხებზე და მათი გამოყენების შემთხვევებში შესაბამის სანქციებზე.

ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმება ხდება Turnitin-ის პროგრამის საშუალებით. მისი საბოლოოდ ჩაბარების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელს, კოორდინატორსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ხდება მისი გადაგზავნა. პროგრამის ხელმძღვანელებისა და სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ ხდება პლაგიატის გამოვლენა და შესაბამის შემთხვევაში ნაშრომის შეფასებიდან მოხსნა. ინტერვიუებისას ვერ გამოიკვეთა ზუსტი წესი, რომლითაც ყველა ნაშრომს უდგებიან, რადგან აღინიშნა, რომ მსგავსების კოეფიციენტის დასადგენად ხან ხუთი სიტყვა მიეთითება, ხან - ექვსი, ზოგჯერ შეიძლება სხვა რაოდენობაც მიეთითოს. დგინდება ამ პროცესის დეტალურად აღწერისა და ნორმატიულ დონეზე ცვლილების შეტანის საჭიროება „კვლევითი კომპონენტის შესრულების წესში“ ან სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციაში.

სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი საკმაოდ არის წარმოდგენილი, რამაც განაპირობა სადიპლომო ნაშრომის არჩევითობა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს სავალდებულო სახით აქვთ წარმოდგენილი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი, მაინც იკვეთება, რომ რეაკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი კომპონენტი არ არის ძლიერი, გაფორმების წესებიც ნაკლებად არის დაცული. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ შეფასების კრიტერიუმები კვლევით ნაწილში უფრო მეტად დასახვეწია.

აღსანიშნავია, რომ პროგრამას გააჩნია სადიპლომო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მექანიზმიც. სტუდენტს უფლება აქვს, გაასაჩივროს სადიპლომო ნაშრომის შეფასება, შეფასების მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში სკოლის დეკანთან წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით. შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავენ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, დამატებით რეცენზენტის სახით, რომელსაც ეგზავნება ნაშრომი დამატებითი შეფასებისათვის. რეცენზენტს უფლება აქვს უცვლელად დატოვოს იგივე შეფასება, ან დაწეროს უფრო მაღალი ან დაბალი ქულა. თუ სტუდენტი არ დაეთანხმება დამატებითი რეცენზენტის ქულას და საბოლოო შეფასებას, სტუდენტს უფლება აქვს, შესაბამისი წერილობითი განცხადებით მიმართოს სკოლის აკადემიურ საბჭოს. სტუდენტი ვალდებულია განცხადებაში ზუსტად ასახოს და დაასაბუთოს, რა საფუძვლების გამო არ ეთანხმება სადიპლომო ნაშრომის შეფასებას. სკოლის აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ. განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი რეცენზენტი, რომლის შეფასების საფუძველზე მიღებული სადიპლომო ნაშრომის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა აღნიშნული წესის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი;
- უნივერსიტეტის შიდა ქსელი: https://lmb.gipa.ge/ ;
- კვლევითი კომპონენტების შესრულების წესი;
- სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების დახვეწა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება სტუდენტების ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდა ფინალური და შუალედური შეფასებების გასაჩივრების წესის მიმართ.
- სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ სტუდენტთა ინსტრუქციის პრაქტიკაში გამოყენებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

X

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტები იღებენ შესაბამის საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ასევე შიდა სასწავლო სისტემაში განთავსებულია ყველა საჭირო ნორმატიული თუ ინფორმაციული სახის დოკუმენტი სტუდენტების საჭიროებისამებრ. სასწავლო პროგრამის სტუდენტებს უნივერსიტეტის საერთო პოლიტიკის ფარგლებში გააჩნიათ წვდომა ელექტრონულ პლატფორმაზე: https://lmb.gipa.ge/ , რომლის მეშვეობითაც იღებენ შეტყობინებებს უნივერსიტეტისა თუ სასწავლო პროგრამის მიმდინარე სიახლეებისა და ექსტრაკურიკურული აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტებს გააჩნიათ უნივერსიტეტის ელფოსტა, რომელიც ასევე არის სიახლეების მიღების ერთ-ერთი საშუალება. აღნიშნული პლატფორმა მთლიანობაში სტუდენტებს საშუალებას აძლევს, წვდომა ჰქონდეთ სასწავლო რესურსებზე ელექტრონული სახით. სტუდენტები მუდმივად იღებენ კარიერული წინსვლისა თუ სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტებთან ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კონსულტაციებში. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს,

აქტიურად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებსა და სასწავლო პროგრამის განმახორ-ციელებელი პერსონალის მხრიდან ჯგუფურ კონსულტაციებში, რომლებიც მათი მხრიდან პროგრამის გასავითარებლად უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება. სასწავლო კურსებში აღნიშნულია აკადემიური პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის გამოყოფილი ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, თუმცა ასევე აქტიურად იყენებენ ზემოთ აღნიშნულ ელექტრონულ რესურსებს საკომუნიკაციოდ. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა პროექტის კოორდინატორის როლი სტუდენტებთან კომუნიკაციის, მათთვის დახმარების აღმოჩენისა და ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

2018 წლიდან შეიქმნილია სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელსაც მაკოორდინირებელი ფუნქცია აქვს სტუდენტების, შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. აღნიშნულ საქმიანობას ცენტრი უნივერსიტეტის სკოლების პერსონალის და კოორდინატორების ჩართულობით ახორციელებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარების მიზნით ასევე ხშირად იღებენ აღნიშნული ცენტრის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცენტრს ეკისრება ერთგვარი ომბუდსმენის ფუნქციაც სტუდენტებისთვის. ცენტრის ფუნქციებში ასევე შედის საორიენტაციო დღეების მოწყობა ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის და მათთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან (EPRC, LTD Vega, MDF, Mtsvane Sakhli, PERITUS, SJC), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. პრაქტიკის განხორციელებისას სტუდენტს ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი. თავის მხრივ, როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა აკადემიური პერსონალი ცდილობს აქტიურად ჩართოს სტუდენტები კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც სალექციო მიმდინარეობისას, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები ადგენს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნებიდან ამოწერის შესაძლებლობას, მომდევნო სემესტრების განმავლობაში აღნიშნული საგნის გავლის პირობით, დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე. ამასთან, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაიარონ სხვა სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში შეთავაზებული საგნები, რომლებსაც არ გააჩნიათ დაშვების წინაპირობა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მონაწილეობას.

უნივერსიტეტში არსებობს ფინანსური მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს ფასდაკლებას შემდეგი სამიზნე ჯგუფებისთვის:

- სოციალურად დაუცველი პირები;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- იძულებით გადაადგილებული პირები;

- ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები, ფერეიდნელი ქართველები და ა.შ.) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ლინგვისტური იდენტობა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირები;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პირები.

ასევე, აღნიშნული ფასდაკლება მოქმედებს მაღალი აკადემიური მოსწერების სტუდენტებისთვის და გულისხმობს საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე ორი სტუდენტის გათავისუფლებას მეორე წლის სწავლის საფასურის გადასახადისგან.

აღსანიშნავია სტუდენტების მიერ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა. პროგრამაზე მოქმედებს, როგორც Erasmus +-ის, ასევე ორმხრივი თანამშრომლობის, გაცვლითი პროექტები, რომელთა შესახებ სტუდენტებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია და იღებენ მონაწილეობას. ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა სასწავლო პროგრამის ადმინისტრაციის როლი სტუდენტებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში აღნიშნულ პროცესში.

სასწავლო პროგრამა ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეულ თანხას (ბოლო სამი სასწავლო წლის განმავლობაში 6000 ლარის ოდენობით) სტუდენტური ექსტრაკურიკულური აქტივობების დასაფინანსებლად. თუმცა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა და სტუდენტების ნაკლები დაინტერესება ამ კუთხით. მიუხედავად ამისა, სტუდენტების ჩართულობა იკვეთება სხვა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში (საჯარო ლეციები, კონფერენციები, სპორტული ღონისძიებები). უნივერსიტეტს ასევე გააჩნია "რადიო ჯიპას" ბლოგი.

უსდ-ს გააჩნია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც გათვალისწინებულია შინაგანაწესით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ინკლუზიის კოორდინატორის მიერ ხდება აღნიშნული გეგმის შემუშავება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია პანდუსები ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენება ხდება ასევე მობილობით გადმოსული, თუ გაცვლითი პროგრამებით მოსარგებლე სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიეუბის შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gipa.ge ;

- ელექტრონული სასწავლო ბაზა: https://lmb.gipa.ge/ ;
- საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უნივერსიტეტებთან.

რეკომენდაციები

X

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

X

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სტუდენტების ინფორმირება ექსტრაკურიკულური აქტივობების დაფინანსების პროგრამის შესახებ და მათი ინიციატივების წახალისება;
- ინკლუზიის კოორდინატორის პოზიციის არსებობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის აკადმიური პერონალის სახით კვალიფიციური ხელმძღვანელები უწევენ მაგისტრანტთა მიერ სადიპლომო ნაშრომის შესრულების კოოდინაციას. ხელმძღვანელის მოვალეობაა, მისცეს სტუდენტს მიმართულება და რჩევები ნაშრომის გასაუმჯობესებლად. ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტს, ასევე, შეუძლია გამოიყენოს მოცემული დარგის სპეციალისტის - კონსულტანტის - დახმარებაც, რომელსაც იგი შეარჩევს ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორთან შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევაში კონსულტანტი იდენტიფიცირდება, როგორც სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი.

სამაგისტრო ხელმძღვანელის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მეოთხე სემესტრის დაწყებიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის განმავლობაში. სამაგისტრო თემის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ თემის ხელმძღვანელის შერჩევიდან არაუმეტეს

7 კალენდარული დღის განმავლობაში ნაშრომი და მისი სათაური ხელმძღვანელთან შეთანხმებით შესაძლოა შეიცვალოს შემდგომი მუშაობის პერიოდში. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს დამოუკიდებლად სამაგისტრო კვლევის პროექტზე/პროსპექტუსზე მუშაობას.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის მონახაზს, სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაციიდან არაუმეტეს 49 კალენდარული დღის განმავლობაში მაგისტრანტმა უნდა წარუდგენოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს/კოორდინატორს.

ერთმა პიროვნებამ შესაძლოა ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს ხუთ სამაგისტრო ნაშრომს. თუმცა, თანახელმძღვანელობის შემთხვევაში დაშვებულია არაუმეტეს რვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას აქვს არჩევანი მაგისტრანტმა ხარისხის მოსაპოვებლად შეასრულოს კვლევითი ნაშრომი ან ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმა. შესაბამისად, შესწავლილ სამაგისტრო ნაშრომებში ხშირია თანახელმძღვანელის გამოყენების პრაქტიკაც.

სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის ხდება ინდივიდუალური საკონსულტაციო გეგმის შემუშავება და შესაბამისად, ხდება ნაშრომის შესრულება. ინტერვიუების დროს კურსდამთავრებულების მიერ გაკეთდა აქცენტი აღნიშნული კონსულტაციების ინტენსივობასა და მნიშვნელობაზე სადიპლომო ნამუშევარზე მუშაობის დროს.
უსდ-ს გააჩნია კვალიფიციური აკადემიური პერსონალი მაგისტრანტთა ხელმძღვანელობისთვის. ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის უფლება-მოვალეობები გაწერილია როგორც საერთო საუნივერსიტეტო დოკუმენტით „სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი“, ასევე სასწავლო პროგრამის შიდა გამოყენების დოკუმენტით „სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია.“ გარდა ამისა, ხელმძღვანელებთან ხდება ცალკეული ხელშეკრულების გაფორმება.
უნივერსიტეტის შიდა ქსელში ინტეგრირებულია მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის შეფასების კითხვარი. აღნიშნული ინსტრუმენტის მეშვეობით მაგისტრანტები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს ხელმძღვანელთან კონსულტაციების ინტენსივობის, მათი ხარისხის, ხელმძღვანელის კონსულტაციების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების წესი;
- სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

• მაგისტრანტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: **X**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **X**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება გამორჩეული კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ყველა ის კომპეტენცია, რაც პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე სტუდენტთა გაყვანის დამატებითი მყარი გარანტიაა. პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს, სწორედ პერსონალის როგორც პრაქტიკული მრავალწლიანი გამოცდილება, ისე დარგის აკადემიური ცოდნა წარმოადგენს. პროგრამაში ჩართული პირების დიდი ნაწილი პრაქტიკოსი სპეციალისტია, რის საფუძველზეც სტუდენტები გარანტირებულად იღებენ სპეციალობაში არსებული თანამედროვე გამოწვევების შესახებ ინფორმაციას და აქვთ უნარი ნებისმიერი სირთულის ამოცანა წარმატებით გადაჭრან. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა 22, აქედან ნახევარი კი აკადემიური პერსონალია და ყველა აფილირებულია უსდ-სთან, რაც ასევე წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. სამაგისტრო პროგრამას ჰყავს მაღალკვალიფიციური პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ამასთან, პროგრამას ჰყავს კვალიფიციური თანახელმძღვანელი. ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავება-დახვეწაში და, ამავე დროს, მიზანმიმართული არიან, ეფექტიანად შესრულდეს პრაქტიკაში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უდავოდ აღნიშვნის ღირსია, რომ რამდენიმე პროფესორ-მასწავლებელს (აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალს) აქვს დოქტორის ხარისხი და აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, თუმცა სხვა შემთხვევებში იგრძნობა სფეროს დოქტორთა სიმცირე. ეს გარკვეულწილად შევსებულია პროფესიული გამოცდილებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერსონალი ინფორმაცია (CV); ○ საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამაში დატვირთვა; ○ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის ფუნქციები და ხელშეკრულების ნიმუშები.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება სფეროს დოქტორთა მოზიდვა და რაოდენობის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში **მოქმედებს კვლევების დეპარტამენტი,** რომელიც კოორდინაციას უწევს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, აფასებს შედეგებს, აანალიზებს მათ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, აკადემიური პერსონალი გარკვეულწილად ჩართულია კვლევით საქმიანობაში სხვადასხვა კვლევითი პროექტის განხორციელებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მოანწილეობის სახით. ამასთან, **კვლევის დეპარტამენტის მიზანია, როგორც დამოუკიდებლად, ისე სკოლებთან თანამშრომლობის** გზით, იზრუნოს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებასა და საერთაშორისო კოლაბორაციაზე, ხელი შეუწყოს კვლევით პროექტებს. კვლევითი პროექტის დაფინანსება კონკურსის საფუძველზე ხდება შიდა გრანტების მექანიზმის დახმარებით. გარდა ამისა, ცალკეა გათვალისწინებული რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების, თარგმნისა და რედაქტირების ხარჯების დაფარვა და სხვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში გამოიყენება კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის **ხარისხისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანალიზის მექანიზმი.** ამ შედეგების შეფასება და ანალიზი ხორციელდება ყოველწლიურად ანგარიშების ფორმით. შეფასება ეფუძნება პროფესორ-მასწავლებელთა მონაცემებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, კვლევითი პროექტების განხორციელებას, შემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში განხორცილებულ აქტივობებს, სხვადასხვა პროექტში სტუდენტთა ჩართვას და სხვა.

ამასთან, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით საყურადღებოა **შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების დაფინანსების** წესი. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მოცემულ შემთხვევაში შიდა გრანტის მისაღებად აკადემიურ პერსონალს აქვს დამოუკიდებლად და/ან სტუდენტებთან ერთად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა. დადგინდა, რომ უნივერსიტეტში განხორციელდა რამდენიმე კვლევითი პროექტი საინტერესო პრობლემების (ფემიციდი, თვითცენზურა სოციალურ მედიაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში) ირგვლივ შიდა საგრანტო პროგრამის ფარგლებში. ამ პროექტებში ჩართულები იყვნენ მაგისტრანტებიც, პროფესორებთან ერთად.

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის აკადემიური **პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში,** მათ შორის საგრანტო დაფინანსების ძიების კუთხით. იგრძნობა რამდენიმე პროფესორის მაღალპროდუქტიულობა სამეცნიერო სფეროსა თუ პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩართულობის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ ჟურნალისტიკის სკოლის ბაზაზე 2014 წლიდან მოქმედებს CG MULTILAB@GIPA **კომპიუტერული გრაფიკის განვითარების ლაბორატორია,** რომლის დახმარებით ხორციელდება ტრენინგები და სასწავლო პროგრამები 2D/3D ანიმაცია, მოძრავი გრაფიკის, სხვადასხვა სოციალური და სხვა პროექტი. როგორც ჩანს, სამუშაო პროცესს ხელმძღვანელობენ ლექტორები, რომლებსაც საერთაშორისო გამოცდილება აქვთ.

2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სტარტ აპ პროექტების დაფინანსებასაც.

აღსანიშნავია, რომ ტროის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიურ რეცენზირებად და ინტერდისციპლინური ინგლისურენოვან ჟურნალს **სახელწოდებით "Journal of Politics and Democratization**". ჟურნალში შედის კვლევები, რომლებიც ეხება, გარდა სხვა სფეროებისა, მედიაკომუნიკაციასა და სტრატეგიულ კომუნიკაციებს. ჟურნალი 2016 წლიდან ქვეყნდება ელექტრონული ფორმატით და წელიწადში ორჯერ (დღემდე გამოცემულია ჟურნალის სულ 10 ნომერი). 2020 წლიდან უნივერსიტეტში აქტიურად მუშაობენ იმისათვის, რომ ჟურნალი იყოს ინტეგრირებული რეფერირებად კატალოგებში, ხოლო 2022 წლისთვის დაგეგმილია ERISH Plus ინდექსირების კანდიდატობაზე განაცხადის წარდგენა.

უნივერსიტეტში დიდი ყურადღება **ეთმობა საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო საქმიანობის** გაწევას, პრაქტიკული პროექტების განხორციელებას.

აქვე საგულისხმოა, რომ **უნივერსიტეტში 2013 წელს დაფუძნდა თანამედროვე სწავლების ცენტრი,** რომლის მიზანია სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის პედაგოგიური უნარების დახვეწა. 2018 წელს დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის - თანამედროვე სწავლების ცენტრის ნაცვლად, უნივერსიტეტის **ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის** ფარგლებში **ჩამოყალიბდა სწავლების სრულყოფის ცენტრი.** მისი მიზანია მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება, სხვადასხვა ორგანიზაციისთვის ტრენინგების ჩატარება თუ კონსულტაციების გაწევა. ამასთან, სწავლების სრულყოფის ცენტრი ცდილობს, შესთავაზოს როგორც აკადემიურ და ადმინისტრაციულ, ისე მოწვეულ პერსონალის სხვადასხვა პროფესიული განვითარების ღონისძიება. ტრენინგებსა და შეხვედრებს წარმართავენ პარტნიორი უნივერსიტეტებიდან საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენერები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი ატარებს სწავლების უნარებისა და მეთოდების განვითარების შესახებ ტრენინგ-შეხვედრებს. ასევე, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები** სხვადასხვა ორგანიზა-ციასა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, უნივერსიტეტი აცხადებს წელიწადში შიდა გრანტს აკადემიური პერსონალის კვლევითი

აქტივობებისთვის. გრანტის გაცემისას უპირატესობა ენიჭება აკადემიურ პერსონალს, რომელიც მაგისტრანტთან ერთად გადაწყვეტს საგრანტო პროექტის განხორციელებას. მართალია, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში, პროფესიული განვითარების ტრენინგებში. ისინი აქვეყნებენ ნაშრომებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორიო სამეცნიერო ჟურნალებში, რაც ძალიან კარგია. თუმცა ჩანს, რომ **რამდენიმე შემთხვევაში მიზანშეწონილია ამ მიმართულების მუშაობის გააქტიურება.** საქმე ისაა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა რამდენიმე შემთხვევაში 2010, 2011, 2012 წლის შემდეგ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და პროფესიული განვითრების კურსების გავლის ნაკლებობა ან არარსებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ პერსონალსა და პროგრამის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://gipa.ge/geo/ ; ○ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი; • https://herd.tsu.ge/ka/categori/29/Consortia ; http://jpd.gipa.ge/ ; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ პერსონალის განვითარების ღონისძიებები; ○ აკადემიური პერსონალის ტრენინგებში, პროექტებში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელის დოკუმენტაცია; ○ პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებლები; ○ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები/ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა მეტი აქცენტები უნდა გააკეთოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაზრდაზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ასევე, პერსონალის CV-ის საერთო ფორმის შემუშავება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა **ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის გამართული,** განახლებული და თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი. შენობაში **დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები.** როგორც დისტანციური დათვალიერებისას გამოიკვეთა, უნივერსიტეტში შემოსვლისთანავე მოწმდება ადამიანი თერმოსკრინიგით სიცხის გასაზომად. კედლებზე დამონტაჟებულია ხელის დასამუშავებელი საშუალებები. იგრძნობა, რომ კოვიდრეგულაციები დაცულია. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის უნივერსიტეტში დამონტაჟებულია ე.წ. „პანდუსი“. საზოგადოებრივი **ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სასწავლო აუდიტორიებში. უნივერსიტეტში** წარმოდგენილია ორი ლაბორატორია. აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით. ცალკე გვხვდება კომპიუტერული კლასები, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის **უზრუნველყოფას ისახავს მიზნად უნივერსიტეტის აუდიტორიები,** საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან და სხვა. გარკვეულ შემთხვევებში გამოიყენება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა შენობა-ნაგებობებიც. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი სივრცეები, სასწავლო და ადმინისტრაციული კაბინეტები. აუდიტორიებში განთავსებულია პროექტორი და

კომპიუტერი, რაც ეხმარება სასწავლო პროცესის დახვეწასა და განსახილველი საკითხების სტუდენტთა მხრიდან ვიზუალურ აღქმადობას.

ასევე, **შენობა უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით.** ინტერნეტი შეუზღუდავად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ **უნივერსიტეტში არის ბიბლიოთეკა, რომელშიც წარმოდგენილია მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი.** ბიბლიოთეკაში დაცულია ნაშრომების ბეჭდური ვერსიები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ამასთან, ბიბლიოთეკაში არის პროგრამის შესაბამისი ელექტრონული ფონდი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ისეთ საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა:

- ✓ *EBSCO;*
- ✓ *JSTOR;*
- ✓ *Cambridge Journals Online;*
- ✓ *Royal Society Journals Collection და სხვა.*

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში **წარმოდგენილია ნაშრომთა ელექტრონული კატალოგი. აქ გვხვდება თანამედროვე და კლასიკური** ნაშრომები, რომელთა გამოყენება სტუდენტს შეუძლია შეუზღუდავად. პროგრამით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, ძირითადად, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. დისტანციური დათვალიერებისას შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 2-3 ნაშრომი, რომელთა მოძიება ვთხოვეთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუმცა ეს ნაშრომები ელექტრონული ფორმით (pdf ფორმატში) ვერ მოიძებნა. ამასთან, აღინიშნა, რომ შესაძლოა, სილაბუსში ყოფილიყო ხარვეზი დაშვებული. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ტექნიკური პრობლემით აიხსნა და მისი გამოსწორების მზაობა გამოიკვეთა.

ასევე, დისტანციურად **გადამოწმდა, როგორ შეუძლია სტუდენტს უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის მიწერა**, შეფასებების ნახვა, გამოკითხვებში მონაწილეობის მიღება და სხვა. გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა: lmb.gipa.ge. ამ გზით, ერთი მხრივ, **ხელმისაწვდომია სტუდენტთათვის შეფასებები, მეორე მხრივ, ადმინისტრაციას შეუძლია აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წარმოება**. თუმცა, აღნიშნული პლატფორმის გამოყენებით ლექტორს არ აქვს საშუალება, ყოველი ლექციისთვის ატვირთოს მასალა და ლექტორებს უწევთ სოციალური ქსელებითა და ელექტრონული ფოსტით მასალის სტუდენტებისთვის მიწოდება.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან, ისე სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია. სტუდენტთათვის უნივერსიტეტს შექმნილი აქვს ელფოსტები, რომელთა დახმარებითაც მათ ხელი მიუწვდებათ სხვადასხვა აპლიკაციასა და შეუზღუდავი მეხსიერების სივრცეზე. დადგინდა, რომ ამ თვალსაზრისით, ელექტრონული სერვისი სტუდენტებისთვის გამართულად მუშაობს.

უნივერსიტეტში ცალკეა **შექმნილი აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე,** რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და აუცილებელი ტექნიკით (ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის აპარატი). ეს სივრცე ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალის თუ დავალებების მომზადება-ამობეჭდვაში. გარდა ამისა, **უნივერსიტეტში გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები,** რომლებიც სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევასა და ადმინისტრირებას ეხმარება. კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ამდენად, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა **ინსტიტუტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის სტრუქტურა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ მატერიალური და ტექნიკური რესურსი; ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი ფონდი; ○ სამეცნიერო ბაზები/საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა; ○ ვიზუალური დათვალიერება; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ტექნიკურად გაიმართოს ელექტრონული საძიებო სისტემა და ხარვეზების აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები დაიგეგმოს; • კარგი იქნება, დაიხვეწოს და სასწავლო მოთხოვნებს მოერგოს https://lmb.gipa.ge/ .
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს **საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**, რაც იმას გულისხმობს, რომ გაერთიანების მიზანი არაა მოგების მიღება. შესაბამისად, უნივერსიტეტის **ძირითადი შემოსავალი მთლიანად გამოიყენება იდეალური (არაკომერციული) მიზნის განხორციელება.** ამასთან, აღნიშნულ იურიდიულ პირს შეუძლია სამეწარმეო საქმიანობა, მაგრამ ის უნდა ატარებდეს დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს საზოგადოების ძირითადი მიზნის მიღწევას - იდეალური ამოცანების განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში ასეთია საგანმანათლებლო მიზნების შესრულება. ამდენად, ესაა **უნივერსიტეტის უპირატესობა, რომლითაც განსხვავდება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სხვა კერძო უნივერსიტეტებისგან,** რომლებიც კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმების გამოყენებით იღებენ გარკვეულ მოგებას.
საქართველოს საზოგადოებრივ **საქმეთა ინსტიტუტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სწავლის საფასური, გრანტი და სხვა შემოსავლები,** რომლებიც შემოდის საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, იჯარის ხელშეკრულებებიდან და სხვა.
უნივერსიტეტის **საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი გათვალისწინებულია ერთწლიანი და სამწლიანი** მონაცემების მიხედვით. ეს საშუალებას იძლევა, დადგინდეს, ერთი მხრივ, რა ფინანსებია გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტებისთვის 1 წლის განმავლობაში, მეორე მხრივ, როგორია პროგრამის ბიუჯეტი სამომავლო 3-წლიან პერსპექტივაში.
პროგრამის ფინანსური გეგმა გადანაწილებულია 2021-2022, 2022-2023, 2023-2024 სასწავლო წლების მიხედვით.
საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტები:

- შემოსავლები, რომლებიც პირველი და მეორე კურსის საფასურს აერთიანებს;
- სხვადასხვა საჭიროებისთვის აუცილებელი ხარჯები.

ხარჯებში მოაზრებულია:

- მოწვეული/აკადემიური პერსონალის ჰონორარი;

- პროგრამის აკადემიური პერსონალის ხელფასი;
- სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი;
- სტიპენდიები/შეღავათები;
- კვლევები, კონფერენციები და კურიკულუმის განახლება;
- პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურის შესყიდვა/სამეცნიერო ბაზებზე წვდომა;
- სტუდენტური აქტივობების დაფინანსება;
- მარკეტინგი;
- სხვა საუნივერსიტეტო ხარჯები (ყველა სახის).

ამდენად, ფაქტობრივად ბიუჯეტი **ეფუძნება უნივერსიტეტის ფინანსურ შესაძლებლობებს, იგი, ძირითადად, ეკონომიკურად მიღწევადია.** დგინდება, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და სწავლის მიზნების მიღწევას.

ასევე, ინტერვიუს დროს აღინიშნა, **რომ უნივერსიტეტს აქვს ე.წ. „სარეზერვო ხარჯები.“** უნივერსიტეტის სკოლებს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელიც საჭიროებისამებრ შესაძლოა, სკოლის ფარგლებში არსებული პროგრამებისთვის გადმოიტვირთოს და პროგრამით გაუთვალისწინებელი კომპონენტები შეივსოს სკოლის ბიუჯეტით.

მართალია, გარკვეული **დეტალები დაზუსტდა ინტერვიუს დროს, მაგრამ ბიუჯეტის დოკუმენტი მაინც მოითხოვს უფრო დეტალურად** საჭიროებების ასახვას. ამასთან, ბუნდოვანი რჩება, თუ აკადემიური პერსონალი იღებს გარკვეულ ჰონორარს, იგივე პრინციპით როგორ არის მოწვეული პერსონალის ჰონორარი გათვალისწინებული. ასევე, ცალკე არ გვხვდება მოწვეული პერსონალის ჰონორარი და დასაზუსტებელია, რამდენად შეიძლება მისი შრომის ანაზღაურება ჰონორარად მოიაზრებოდეს. გარდა ამისა, იგრძნობა პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში წლის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების (გრანტები, სამეცნიერო მივლინებები, ინფრასტრუქტურის განახლება-გამდიდრება და სხვა) ნათლად და დეტალურად გათვალისწინების საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაფინანსების წყაროები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

X

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, ბიუჯეტის დოკუმენტი დეტალურად და ნათლად ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევატურ ღონისძიებებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): X
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) X
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა **ინსტიტუტი რეგულარულად აფასებს როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე სასწავლო პროცესს.** შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასება-ანალიზისა და გამოყენების თაობაზე. ამ კონტექსტში გამოიყენება სასწავლო პროცესში ჩართულ სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა მხრიდან უკუკავშირის მექანიზმი, რაც მიიღწევა გამოკითხვების დახმარებით. შეფასება მიმართულია სუსტი მხარეების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის გზების ძიებისკენ, რაც, საბოლოო ჯამში, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

სასწავლო პროცესის შეფასებაში მოიაზრება:

- სწავლის ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენება;
- სწავლის ხარისხის შეფასების მიმართულებები და საშუალებები;
- სასწავლო პროცედურის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სწავლის **ხარისხის შეფასება და მიღებული შედეგების გამოყენება** ეფუძნება ოთხეტაპიან ციკლს, რომელიც გამოიხატება საკვანძო სიტყვებით: **„დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე.“**

ამდენად, სწავლის ხარისხის შეფასებისას (ა) **პირველ ეტაპზე იგეგმება ჩასატარებელი** ღონისძიებები, შეფასების საშუალებები და კრიტერიუმები, განმახორციელებლები და დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების სიხშირე. შემდეგ ამ **ღონისძიებებს (ბ) ახორციელებენ წინასწარ** განსაზღვრული პირები შესაბამისი მეთოდოლოგიითა და საველე სამუშაოების დახმარებით. ამას მოსდევს (გ) **ჩატარებული სამუშაოების შედეგების ანალიზი,** ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება-შეფასება. ბოლოს ჩატარებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები ფასდება იმისათვის, რომ შემუშავდეს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, დაიხვეწოს სასწავლო პროცესი და გაიზარდოს სწავლების ხარისხი.

აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს **სასწავლო პროცესის გარე და შიდა შეფასების მექანიზმი**. სასწავლო პროცესის შიდა შეფასებაში შედის ორი ძირითადი

კომპონენტი: **(ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება-ანალიზი და (ბ) სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის დასრულების შემდგომი შეფასება** და ანალიზი.

სასწავლო პროცესის **მიმდინარეობის შეფასებისა და ანალიზის ფარგლებში** ხდება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით სასწავლო პროცესის შესწავლა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ხარვეზების აღმოფხვრა. **რაც შეეხება სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის დასრულების შემდგომ შეფასება-ანალიზს,** მოცემულ შემთხვევაში შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება არსებული მიდგომებისა და პროგრამის ნაწილების გადახედვა, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის იყოს გამოყენებული.

უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებს აგროვებს და აანალიზებს.** ანალიზის პროცესში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღანელები და კოორდინატორები. ამ პროცესის მიზანია ხარვეზების აღმოფხვრა, პოზიტიური გამოცდილების ურთიერთგაცვლა და გაზიარება. რეაგირებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც ეფუძნება სემესტრის ბოლოს მიღებული შედეგების ანალიზს. რეკომენდაციები გადაეცემა სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად, აკადემიური საბჭო კი პროგრამის სრულყოფისთვის მიმართავს რეაგირების შესაბამის ღონისძიებებს.

მართალია, უნივერსიტეტში **ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა** გამოკითხვა, არსებობს შიდა ექსპერტული დასკვნა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს ანგარიშებს, შესაძლებელია ითქვას, რომ ხარისხის შეფასებისას რიგ შემთხვევაში **გამოყენებულია** არავალიდური და ნაკლებად სანდო ინსტრუმენტები, რადგან ის, რაც წერილობით არის გადმოცემული, ინტერვიუს დროს გამოკვეთილ ინფორმაციას სცდება. მაგალითად, დამსაქმებლების უმეტესობა აღნიშნავს, რომ პროგრამაში ძალიან გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, პროგრამის კურსდამთავრებულები ამჟამად ძალიან გამოირჩევიან სხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისგან, თუმცა ინტერვიუს დროს ზუსტდება, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებული ან არ ჰყავს დასაქმებული ან ახლა ორ კურსდამთავრებულზე მიმდინარეობს დაკვირვება ან 4-5 ადამიანი გადის სტაჟირებას. შესაბამისად, ამ ნაწილში მიგნებების არასწორ ინტერპრეტაციას ვაწყდებით.

ამასთან, ჩანს, რომ აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე ნაშრომების შემოწმებისას არ გამოიყენება ერთგვაროვანი მიდგომა (დეტალურად იხ. 2.6 სტანდარტი). არადა, ცხადია, ამ პროცესის სათანადოდ შეფასება და მიღებული შედეგები, შიდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა, უდავოდ, წაადგებოდა პროგრამას.

თვითშეფასების ანგარიშიდან ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანს გასაუმჯობესებელი მხარის განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობა (მაგალითად, პირველი სტრანდარტის ბოლოს არის გასაუმჯობესებელი მხარე გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნება, უცხოელი ლექტორების ჩართვა სასწავლო პროცესში, თუმცა ამის შესატყვისად დაგეგმილი აქტივობები არაა მითითებული; მეოთხე სტანდარტის ბოლოს გასაუმჯობესებელ მხარედ

ასახულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდის მეტი ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა, მაგრამ ამ მხარესაც არ აქვს განსაზღვრული მის განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობა). ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ხარისხის შეფასების არსებული ინსტრუმენტების დახვეწა, მათი სათანადო ანალიზი და მიღებული მონაცემების გამოყენება წაადგებოდა პროგრამის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი და შედეგები;
- შიდა ხარისხის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების წესი;
- ხარისხის მართვის დეპარტამენტის ანგარიში და რეკომენდაციები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა გამოიჩინოს, ასევე, გასაუმჯობესებელი მხარეების გამომსასწორებლად დაგეგმილი აქტივობები სათანადოდ დაგეგმოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

X

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

X

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, საავტორიზაციო და სააკრედიტაციო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა შეფასების ინსტრუმენტებთან ერთად, იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს. ამ მიმართულებით, საზოგადოებრივი უერთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განახორციელა მოწვეულმა ადგილობრივმა ექსპერტმა საქართველოს უნივერსიტეტიდან.
2013 წელს ასევე განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობა პროგრამის შეფასებისას, რამაც განაპირობა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. თუმცა მიმდიანრე პერიოდში არ მომხდარა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება ან საერთაშორისო ექსპრტების ჩართულობა.
აღსანიშანვია რომ პროგრამაში გათავლისწინებულია პირვანდელი აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი;
- გარე ექსპერტის დასკვნა;
- სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

X

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შეძლებისდაგვარად უცხოელი ექსპრტების ჩართულობა გარე ხარისხის შეფასების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

X

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

X

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს **საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული** და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. სასწავლო პროცესის შეფასების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. შიდა შეფასების დროს ხდება პროგრამაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, პროგრამის განხორციელებისას **შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ესწრებიან ლექციებს** და იღებენ პროფესორ-მასწავლებლებისგან უკუკავშირს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზისთვის გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები:

- გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი - კონკურენტი პროგრამების კვლევა და ანალიზი;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა;
- სტუდენტთა მიერ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასება ფარული წესით;
- ლექტორის მიერ ჯგუფის შეფასება;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და სხვა.

საგულისხმოა, რომ **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და ანალიზის პროცესში,** ხარისხის მართვის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, დგინდება, როგორია სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ათვისების ხარისხი. ამ შემთხვევაში ფასდება პროგრამის ან მისი ნაწილის სირთულე, რელევანტურობა, სასწავლო სახელმძღვანელოების სირთულე, სილაბუსით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების ადეკვატურობა და სხვა ასპექტები. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების

მონიტორინგისა და შეფასებისთვის **გამოიყენება ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზა (lmb.gipa.ge)**. ის მოიცავს შემაჯამებელ მონაცემებს თითოეული სასწავლო კურსის მიმდინარეობისა და შედეგების, გამოცდების შეფასებების შესახებ. პროგრამის განხორციელებისას სასწავლო პროცესი ფასდება ელექტრონული კითხვარების გამოყენებით. სტუდენტები სემესტრულად აფასებენ განვლილ საგნებს რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ამასთან, უნივერსიტეტში დანერგილია **სტუდენტთა მიერ ლექტორთა ანონიმური შეფასების წეს**ი, ასევე, **პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ჯგუფის ხარისხობრივი შეფასების მექანიზმი/დახასიათების შინაარსის მქონე** კითხვარი. ეს კითხვარი ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული მართვის ბაზაში.

აქვე გამოიკვეთა, რომ **ყოველწლიურად ხვდებიან პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის ხარისხის მენეჯერი სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს.** შეხვედრებზე განხილვის საგანია მიმდინარე სასწავლო პროცესი, პროგრამის ძლიერი და გასაუმ-ჯობესებელი მხარეები, სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარე, განსახორციელებელ ცვლილებებზე მსჯელობა და სხვა. ამავე დროს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა. ამასთან, კონკურენტი უნივერსიტეტებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლისას ყურადღება ექცევა კურიკულუმს, სასტიპენდიო პოლიტიკას, ინტერნაციონალიზაციას და სხვა. მიღებულ შედეგებს იყენებენ კურიკულუმისა და სასწავლო პროცესის დასახვეწად.

მართალია, საქართველოს **საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში არის შემუშავებული ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი,** რაც, ცხადია, კარგია, თუმცა ჩანს, რომ ელექტრონული **სწავლების განხორციელების წესში არის გარკვეული ცვლილებების შეტანის/დახვეწის საჭიროება.** „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) არის ადამიანის პერსონალური მონაცემები. ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ **შემუშავებული რეკომენდაციები სათანადოდ უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე** წესში. აქ გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ამასთან, ელექტრონული სწავლის დროს უნდა იყოს დაცული პერსონალური მონაცემები, აკადემიურ პერსონალს კი მოეთხოვება, წინასწარ შეატყობინოს სტუდენტები, რომ ხორციელდება ლექციის ჩაწერა. სალექციო ჩანაწერის გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო მიზნებისთვის, მაგალითად, სასწავლო მიზნებისა და მონიტორინგისთვის. **როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, ხორციელდება ლექციისა და სემინარის ჩაწერა, სტუდენტთა ნება სემინარის ჩაწერასთან დაკავშირებით არ** ზუსტდება. მაგალითად, სასურველია, ამ **წესში აისახოს, როგორია მხარდაჭერის ღონისძიებები სასწავლო პროცესის როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი გამართულობის მიზნებისთვის, ასევე, როგორ წყდება** აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ტექნიკური კონსულტირება, სტუდენტთა უკუკავშირის უზრუნველყოფა და სხვა. ამდენად, უნივერსიტეტს სჭირდება დისტანციურ სწავლებასთან

დაკავშირებით **რეკომენდაციების შემუშავება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა** და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ○ უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი; ○ ლექციებზე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიში; ○ აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანგარიში; ○ კონკურენტი პროგრამების დადარების ანალიზი; ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების ანალიზი; ○ განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: X
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • კარგი იქნება, უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი დახვეწოს, ასევე, შეიმუშავოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამა; მაგისტრატურა,

აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნატო ასათიანი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ელენე ჯღარკავა



სახელი, გვარი, ხელმოწერა

მიხეილ ბიჭია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანი წამალაშვილი